საქართველოს ეკონომიკის
განვითარების კორპორაცია

ვორქშოფის სილაბუსი

მდგრადი ბიზნესი და მწვანე დაფინანსება (ESG)

BDO Academy

BDO

სასწავლო კურსის მიზნები

კურსის მიზანია მონაწილეებს გააცნოს ESG-ისძირითადი პრინციპები, მწვანე, სოციალური და მდგრადი დაფინანსების შესაძლებლობები და მათი პრაქტიკული გამოყენება ქართულ ბიზნესგარემოში. კურსი ასევე დაეხმარება მონაწილეებს საკუთარი ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი ESG საკითხების, საჭირო მონაცემებისა და დაფინანსებისთვის შესაბამისი პროექტების განსაზღვრაში

კურსის ხანგძლივობა

4 საათი და 15 წუთი
(1 შეხვედრა)

სასწავლო კურსის შინაარსი

სესია I - ESG-ის საფუძვლები და ქართული კონტექსტი (10:00-11:30)

- ESG-ის არსი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის;
- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების პრაქტიკული განმარტება;
- ESG საკითხების დაკავშირება საოპერაციო ხარჯებთან, რისკებთან და დაფინანსების საჭიროებასთან;
- ESG ყოველდღიურ ბიზნეს გადაწყვეტილებებში;
- საქართველოში ESG-ის აქტუალობა: ბანკები, დონორები, ბიზნეს პარტნიორები და რეგულაციები;
- საბაზისო მარეგულირებელი ჩარჩო: მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია, შრომის უსაფრთხოება, ნარჩენების მართვა, გარემოზე ზემოქმედება, ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგია;
- მწვანე და სოციალური დაფინანსების ეკოსისტემის მონაწილეები: ბიზნესი, მომწოდებლები, ბანკები, დონორი/პროგრამა და მონიტორინგი;
- მხარდაჭერის შესაძლო არხები და მათი ზოგადი შემოწმების ლოგიკა;
- მინი-სავარჯიშო 1: ESG საკითხის დაკავშირება ბიზნესის რეალურ საჭიროებასთან.

.

შესვენება (11:30-12:00)

სესია II - მწვანე, სოციალური და მდგრადი დაფინანსება (12:00-13:00)

- მწვანე, სოციალური და მდგრადი სესხის ძირითადი განმარტებები;
- მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის ფუნქცია და გამოყენების პრაქტიკული ლოგიკა;
- მწვანე და სოციალური ტაქსონომიის ძირითადი მიმართულებები;
- დაფინანსების ან მხარდაჭერის მიღების პრაქტიკული პროცესი;
- პროექტის მიზანი, კატეგორია, არსებული მდგომარეობა, ტექნიკური გადაწყვეტა, მოსალოდნელი შედეგი და მტკიცებულება;
- საკრედიტო შეფასებისა და მწვანე/სოციალური შეფასების კავშირი;
- პროექტისთვის საჭირო საწყისი ინფორმაცია და დოკუმენტები;
- მწვანე პროექტის მაგალითი: მცირე სასტუმროს ენერგოეფექტურობის პროექტი;

- სოციალური პროექტის მაგალითი: მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- მინი-სავარჯიშო 2: პროექტის შესაძლო სტატუსის შეფასება.

შესვენება (13:00 – 13:14)

სესია III - დაგეგმვა, მონაცემების შეგროვება, მონიტორინგი და პრაქტიკული რუკა (13:14-14:15)

- ESG-ის დანერგვის საწყისი ნაბიჯები მცირე საწარმოსთვის;
- პრიორიტეტული საკითხის შერჩევა: ხარჯი, რისკი, მოთხოვნა ან დაფინანსების საჭიროება;
- საწყისი მონაცემების შეგროვება: ენერგია, წყალი, საწვავი, ნარჩენები, შრომის უსაფრთხოება, აქტივები, მომწოდებლები, ხარჯი და დაზოგვა;
- პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;
- მონაცემების განახლების სიხშირე და დოკუმენტების შენახვის წესი;
- მარტივი ESG რეესტრის გამოყენება;
- ბიზნესის ESG და მწვანე/სოციალური დაფინანსების რუკის მომზადება; 90-დღიანი საწყისი გეგმის შედგენა და განაცხადის მომზადება

ტესტი და შეჯამება

- ESG-ის სამი კომპონენტი;
- ქართული კონტექსტი და მხარდაჭერის შესაძლებლობები;
- მწვანე, სოციალური და მდგრადი სესხის ძირითადი ლოგიკა;
- პროექტისთვის საჭირო საწყისი ინფორმაცია და მტკიცებულება;
- ESG-ის დანერგვის პირველი ნაბიჯები მცირე ბიზნესში.

პრაქტიკული აქტივობები

- **მინი-სავარჯიშო 1** - ESG საკითხის დაკავშირება ბიზნესის რეალურ საჭიროებასთან.
- **მინი-სავარჯიშო 2** - მაგალითების მიხედვით პროექტის საწყისი სტატუსის შეფასება.
- **პრაქტიკული დავალება** - ბიზნესის ESG და მწვანე/სოციალური რუკის შევსება და დაფინანსების ან მხარდაჭერის მისაღებად განაცხადის მომზადება.
- **მოკლე ტესტი** - პრაქტიკულ სიტუაციებზე დაფუძნებული ცოდნის შემოწმება

სასწავლო კურსის სწავლების შედეგები

კურსის დასრულების შემდეგ მონაწილე შეძლებს:

- განმარტოს ESG-ის ძირითადი კომპონენტები და მათი მნიშვნელობა ბიზნესისთვის;
- აღწეროს ESG-ის როლი ქართულ ბიზნესგარემოში;
- განასხვაოს მწვანე, სოციალური და მდგრადი დაფინანსება;
- გამოავლინოს საკუთარ ბიზნესისთვის რელევანტური მწვანე და სოციალური დაფინანსების შესაბამისი პროექტები;
- განსაზღვროს პროექტისთვის საჭირო ძირითადი მონაცემები და დოკუმენტები;
- შეიმუშაოს მოკლე და პრაქტიკული სამოქმედო გეგმა ESG საკითხების ეტაპობრივი დანერგვისთვის.

სასწავლო კურსის შეფასება

კურსის გავლის სერტიფიკატის მისაღებად, მონაწილე უნდა დაესწროს ვორქშოფს.